საქართ. მეშარეცხენე სოც.-შედეგრალისტთა წამყვანი ორგანო

ბოლშევიკ კომუნისტთა ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრიმუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
თვეურად ღირს 25,000 მ. სამგლოვიარო განცხადება 30,000 მ.;
კანტორა ღია ადილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქ-
ციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოს-
ტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1000 მან.

სუთშაბათი, დეკემბრის 22
1921 წ.

მეუღლე ვერა ლონგინოზის ასული, შვილები ოთარი და ეთერი, დედა ეკატერინე, და ელენე მაჩაბლისა, ძმები: ივანე, სამსონი, იოსები და ქალიხოსრო ცოლშვილით, სიდედრი მარიამ მიხეილის ასული კავსაძისა ვაჟი-შვილებით და რძლებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 25 დეკემბერს, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ

ესტატე გიორგის ძე ავალიშვილის

სულის მოსახსენებლად.

შაბათს, დეკემბრის 14-ს გამოვა ყოველკვირეული რუსული სალიტერატურო გაზეთი

„ᲨᲣᲨᲐᲠᲝ“-ს

მორიგი ნომერი,

შინაარსი: ეროვნული კულტურის პოზიციებზე—ნიკოლოზ მიწიშვილი. ფეიგარი საქართველოში—ალი არსენიშვილი. პროლეტარიატის ჰეგემონია—ბესტა. ნ. ს. ალექსანდრე ბლოკის ხსოვნას—სერ. რაფაელოვიჩი. ბობორიკინი და ანდრეი ნემოევსკი (მათი გარდაცვალების გამო)—გალ. ანანოვი. ქართველი ხელოვნები პარიზში—გიორგი ლეკოშკი. ლადო გუდიაშვილი—კალიმენტ ბოლო. ახალი პიესები სახელმწიფო დრამაში—(„ავგარიზი“—ნ. ზარიაშვილის, „სიზმრები“—სანდრო ყანჩელის). ხელოვნება რუსეთსა და საზღვარგარეთ. ყოველის მხრიდან, სალიტერატურო ქრონიკა. სხვა და სხვა ამბები.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ:

ალექსე ნიდერმანი—ავტოპორტრეტი (თარგ. ს. რაფაელოვიჩის).
ნიკოლოზ მიწიშვილი—დეკემბრის ოგონია (თარგ. რაფაელოვიჩის).
გიორგი ლეონიძე—ავტოპორტრეტი (თარგ. ი. მანდელშტამის).
სერგეი რაფაელოვიჩი—ალექსანდრე ბლოკის ხსოვნას.
რაფაელ ფინეგი—რიგაზანის ლდე.
იგორ ტერენტიევი—დიდებულია.

რედაქტორი—ნიკოლოზ მიწიშვილი.

ყიდება ყოველგვარი განცხადება დილის 10—2 საათამდე რედაქციის კანტორაში—რუსთაველის პრ. № 24. ტელ. 7—99.

საბჭოთა არჩევნები

მოკლე ხანში საქართველოს მასშტაბით მოხდება საბჭოთა არჩევნები. მშრომელი ხალხი აირჩევს თვის ინტერესების დამცველებს და ჩაბარებს მათ საქართველოს ბედ-იღბალს. საბჭოთა არჩევნები დიდი მოვლენაა ჩვენი ერის პოლიტიკური ცხოვრებაში. ისტორიას არ ახსოვს საქართველოს მშრომელთა კლასი უშუალოდ დაპატრონებოდეს სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის პოლიტიკურ საქმეს და მოემართოს იგი თავისი ინტერესების სასარგებლოდ. მართალია, მენშევიკების დიქტატურის ხანაში, ე. ი. იმ დროს, როცა საქართველო „დემოკრატიულ“ რესპუბლიკას წარმოადგენდა, ქართველი ხალხი, ოთხფეხა-მუდაინი საარჩევნო სისტემის მეთოდით, „დებულობდა“ მონაწილეობას ქვეყნის საქმეებში. მაგრამ არსებითად ეს არ იყო დამაკმაყოფილებელი საკი სოციალისტური თვალსაზრისით. დღეს კი ჩვენ სულ სხვა საქმის და შინაარსის მოვლენასთან გვაქვს საქმე: დემოკრატიზმი ადგილი დაუთმო მშრომელთა კლასის დიქტატურას, პარლამენტარიზმმა—საბჭოთა სისტემას. საქართველო მშრომელი ხალხის ხელში გადავიდა (უკეთ რომ ვსთქვათ—გადადის), მშრომელი მასსა შეიქნა ქართველი ერის და ეროვნული თავისუფლების მატარებელი. ცხადია, პოლიტიკურ სფეროში მომხდარ ძირითადი ცვლილება მოითხოვს სახელმწიფოებრივ ცხოვრების ყოველი კუნჭულის, არსებულ სისტემების და საჭიროებლივ პოლიტიკის უდიდეს რევიზიას ამ მხრივ, უწინარესყოვლისა, კრიტიკის გესილი მიემართება დემოკრატიული წესების, დემოკრატიული ტრადიციების ციხე-სიმაგრეების დარღვევის, ბურჟუაზიულ ნაშთების ძირ-ბუდიან ამოფხვრისაკენ.

ამ რიგად, მომავალ საბჭოთა არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ მშრომელთა კლასი, სოფლის და ქალაქის მუშები. ერის უმცირესი ნაწილი—ვაჭრები, სპეკულიანტები, მღვდლები, მონარქიულ რეჟიმის ერთგულნი და მრავალი მსგავსი ელემენტები სავსებით მოკლებული არიან არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, მაშასადამე—გარიყული პოლიტიკურ ცხოვრების ჩარჩოებიდან. მშრომელ ხალხს ერთავინ შეეცალება შრომის რესპუბლიკის შექმნა-განმტკიცებაში, მას საკუთარი ხელით უხდება თავის ცხოვრების მოწესრიგება და საკუთარი მომავლის მტკიცე საფუძვლების, ფუნდამენტის ჩაყრა. მშრომელთა დოზენგი—„მუშათა განმეორებითი: თანამედროვე სილარიბეს, მომავალ სიმდიდრეს.

საბჭოთა არჩევნები დიდი მოვლენაა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მშრომელი ხალხი დარსეულად უნდა შეხვდეს მას, აუდის ალდო მის მნიშვნელობას და ერთხელ და სამუდამოთ ჩაუყაროს ურყევი საფუძვლები საკუთარი ბატონობას და ამით შეუშყოს ხელი შრომის სახელმწიფოს შენებას.

გ. მუშიშვილი.

საბჭოთა რუსეთი და ანტანტა

ᲮᲐᲜᲗᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 20 დეკემბერი (რადიო) ლონდონიდან იტყობინებიან: რუსეთის საკითხისადმი მიძღვნილ წერილში გაზეთი „მანჩესტერ გარდიენ“ სწერს: „ალბა ეჭვის შეტანა არ შეიძლება ამაში, რომ იწყება ფართე მოძრაობა რუსეთის ჩაბმისათვის ევროპის ეკონომიურ ურთიერთობათა სფეროში. ამ მოძრაობაში უნდა მიგვეყვანოს რუსეთის მთავრობის „ფორმალურ ცნობამდე“. ამტკიცებს რა, რომ ბრიანთან თათბირზე ლლოიდ-ჯორჯი დასვამს საკითხს მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ძოკავშირეთა დამოკიდებულებაზე რუსეთისადმი, გაზეთი აცხადებს: „ეჭვიელენი, რომელნიც ამ შემთხვევაში გამომდინარეობენ საფრანგეთის მხრიდან, ორნაირია: პირველი, საფრანგეთი შარს ამბობს ბოლშევიკური მთავრობის ცნობაზე, პრინციპიალური ხასიათის პოლიტიკური მოსაზრებებით, მეორე იგი მოითხოვს თავის ვალების ცნობას, რომელიც ერგება მას რუსეთიდან. რაც შეეხება უკანასკნელ საკითხს,—რუსეთის მთავრობა ყოველთვის ამტკიცებდა, რომ ვალების საკითხი განხილული იქნება სამშვიდობო კონფერენციის მიერ“.

— „დეილი ტელეგრაფი“-ს კორესპონდენტი, ეხება რა რუსეთის მოწვევის საკითხს ვაშინგტონის კონფერენციაზე, სწერს: „ეს საკითხი ცხოველ სჯა-ბაასს იწვევს. მისი დადებითად გადაჭრის სასარგებლოდ მოჰყავთ ორგვარი ხასიათის მოტივები: 1 მანამდე, სანამ რუსული საერთაშორისო შეთანხმების გარეშე ადგომება, საყოველთაო განიარაღება შეუძლებელია. 2) თუ კვლავ არ გაიხსნება რუსეთის ბაზრები, შეუძლებელი გახდება საერთაშორისო ვაჭრობისათვის ჯანსაღი ეკონომიური პირობების შექმნა. 3 რუსეთთან შეუთანხმებლად შეუძლებელია სწორად გადაიჭრას აღმოსავლეთის პრობლემა. ამ სამივე მოტივიდან კორესპონდენტი უკანასკნელს ანიჭებს განსაკუთრებულ და აქტუალურ მნიშვნელობას.

ᲮᲐᲜᲗᲐᲠᲘ ᲩᲘᲩᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲢᲠᲝᲪᲙᲘᲡᲗᲐᲜ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. გაზეთი „პტი პარიზიენი“ ბეჭდავს წერილების ციელ წყებას ამ სათაურით: „ხუთი კვირა მოსკოვში“. წერილების ავტორს ვეისს მოჰყავს თავის საუბარი ჩიჩერინსა და ტროცკისთან. ჩიჩერინის საუბრის შესახებ ვეისი აცხადებს ჩიჩერინი ისტორიკოსია, რომელიც ობიექტურად უკეთებს ანალიზს, როგორც რუსეთის ისე მთელი ქვეყნის, ისტორიულ და პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობას. ჩიჩერინი, თვის გამოცვლილი, ექსტაზამდე ადწევს. ვეისს მოჰყავს შემდეგი მოსაზრება: საჭიროა აუხსნათ ევროპას, რომ რ. ს. ფ. ს. რ. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ეს დიადი ისტორიული მოვლენაა, რომელიც დიდ სერიოზული ყურადღებას ღირსია ეკონომისტების მხრივ, თვის საუბარში ჩიჩერინს ალუნიშნავს, რომ: „ევროპა კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება; მას კარგად ესმის რომ ამ მდგომარეობიდან თავის დახწევას შესძლებს იგი იმის შემდეგ, როდესაც ალდგენილ იქნება რუსეთი. ევროპას სურს რუსეთთან კავშირის ალდგენა, მაგრამ სიკვდილსავით ეშინიან ამისა, „შინიან კომუნისტების პროპაგანდისა“. ტროცკის საუბარში ალუნიშნავს, რომ ევროპას, და ნამეტანად ინგლისს, როდესაც რუსეთის შველაზე ლაპარაკობენ, ნამდვილად სხვა ფარული გეგმის ბრალვანი ასულდგმულებენ ეს რასაკვირველია, მათ უფლებას შეადგენს, მაგრამ ეს უნდა დაიგიწყონ იმათაც, რომ ჩვენ მათზე ნაკლები თავი არ გვაბია ტანზე. ყოველ შემთხვევაში, ევროპას უნდა ახსოვდეს, რომ რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლება მშვენივრად უწევ: ანგარიშს დღევანდელ მდგომარეობას და ევროპიელ პოლიტიკოსების მიზნებთან კარგად გაცნობილი.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲛᲓᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 15 დეკემბერი (რადიო). დრეზდენის პრესა ალნიშნავს: რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა, შეძლებას არ აძლევს მას ომის გადახდისას, მაბლობელ წლებში. რუსეთს ესაჭიროება კაპიტალისტურ დასავლეთის შველა, თავის საშეურნეო ცხოვრების ალსადგენად. გაზეთებს მოჰყავთ პარიზელ გაზეთებიდან ცნობები იმის შესახებ, რომ საფრანგეთს, იმის შემდეგ, რაც მან მიიღო ხელსაყრელი კონცესიები, ადვილად შეეძლო მონაწილეობა მიეღო ამ ალდგენაში. მაგრამ საფრანგეთის მძიმე ინდუსტრია ამ ჟამად განიცდის დიდ გაჭირვებას ფულის თანხებში, უფრომლისადაც, რასაკვირველია, მას არ შეუძლია შეუდგეს რუსეთის შველის საქმეს. საფრანგეთის მთავრობა, ვალების ცნობის საპასუხოდ მოითხოვს რუსეთის ყოველ მოქალაქის პირად თავისუფლების ალდგენას. კულისებს უკან კი უფრო ნაკლებ მსჯელობენ პრინციპებზე და ყველაზე მეტად კაპიტალებზე. ამ საკითხის შესახებ ენერგიული მოლაპარაკები წარმოებს ამერიკის შტატების და ინგლისის ფინანსიურ წრეებს შორის. მომავალ კვირას ჩვენ შეეცდებით ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ეკუთვნოთ მთელი ქვეყნისათვის.

სვიმონიძე

სვიმონიძე—ბევრად სვიმონ გოგოლაშვილი მსახიობი იყო ძველი თაობის.

ახალგაზრდებს იგი არ ეხსომებათ, როგორც არტისტი. ამ ბოლო დროს, როგორც ყველა ძველი შკოლის მსახიობი, განშორდა სცენას და რეჟისორობდა ხან აქ, ნაძალადევში და ხან პროვინციებში.

უკანასკნელ ხანს იგი იყო სოჭაში მასწავლებლად, თამაშდომარეობდა ქართ. კულტურულ საზოგადოებას და ბერეფდე განსვენებულის ინიციატორობითვე დაარსდა ზღვის ქალაქში პატარა დრამატიული წრე.

სვიმონიძე არ იყო სხვა ჩვენი კორიფეებივით დიდი ტალანტის პატრონი, მაგრამ წარსულში კი მას დიდი ლვაწლი მიუძღვის ქართული დრამის მატიანეში.

ვიდრე ჩვენს სცენაზე ლადო მესხიშვილი გაჩნდებოდა, სვიმონიძე იყო პირველი ადმასრულებელი ეგრედ წოდებულ „აზოლლანების“ (Любовник) როლებისა;

ძველ ინტელიგენციას ალბად ეხლაც ახსოვს მისი ლეონი (სამშობლოში), ბაკი, (ორ ობოლში), გაიოზი (და-ძმაში), კარლოსი (ყაჩაღებში) და სხვა.

მე კი, როგორც თანამედროვეს ფერი მახსოვს: მისი ბრგე შეხედულება, მადალი თვალები, ტ როლის უბორძიკოთ ლაპარაკი, რომლებითაც გამოუცდელი სკოლის ბალღი ალტაცებაში მოვდიოდი.

ხელოვნების პანთეონში, სადაც სხვა და სხვა ყვავილებად ციალებენ ჩვენი სცენის დედამიწანი,—თეატრის მეისტორიე უეჭველია შესაფერ ადგილს მიაკუთვნებს სვიმონიძეს, როგორც ყვავილს ჩრდილში აყვავებულს და ერთ ბოძკინტს ძველი სკოლის სცენისას.

განსვენებულს დარჩა ცოლი, სამი ასული და ერთი ვაჟი. ამაოგან სცენას ემხიბურება ქალ-ვაჟი: ბალეა ხონელი და ალბარ გოგოლაშვილი.

ᲒᲣᲚᲘᲐᲜᲘ.

ახალი ამბები

— დეკემბრის პირველ რიცხვებში დასრულებულია განათლების და ხელოვნების მუშაკთა მოსკოვის საგუბერნიო ყრილობა, რომელიც მოწვეული იყო ამ ორ კავშირის შესაერთებლად. ყრილობას დასწრებია 322 დელეგატი, რომელთაგან კომუნისტი ყოფილა 120, დანარჩენები (202) უპარტიო. ალსანიშნავია, რომ უპარტიო ფრაქციის გარდა ყრილობაზედ გამოსულა აგრეთვე „პარტიის გარეშეთა“ ფრაქცია („Правда“ № 275).

—„ბალეგრამა“. 1 იანვრისათვის სიმონ ჩიკოვანის რედაქტორობით გამოვა ყოველთვიური სამხატვრო ჟურნალი: „ბალეგრამი“, მონაწილეობენ პოეტები: გრ. ცეცხლაძე, გრ. ჯაფარი, რაფულ გოგობია, ტერენტი გრანელი, ლევ. ასათიანი, გომბრონ აგარელი, ლილი ზეფნარგია, სიმონ ჩიქვანი.

— ლიტერატურული ხუთშაბათი. დღეს, დეკემბრის 22-ს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სამეფოს ინიციატივით ხელოვნების სასახლეში კოკი ალაშიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ტრადიციული მხარე ქართველ მწერალთა შემოქმედებაში“. დაიწყისი საღამოს 6 საათზე, დასწრება ყველასთვისაა.

— სრ. საქ. საბჭოთა ყრილობების მომწვევმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაასრულა საარჩევნო დებულების განხილვა. პროექტი გადაეცა დასამტკიცებლად საქართველოს რევკომს და ამ დღეებში გამოქვეყნდება.

— ტფილისში ქარი და ყინვები დაიწყო.

რუსეთი

Ა. Ბ. ᲤᲐ. Ბ. Ა. ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. 19 დეკ. ცირკულიარულად ყველა საგუბერნიო ალმ. კომიტეტებს. 1) დაწესებულებათა გადამსინჯველ და შემამოკლებელ საგუბერნიო კომისიებს ენიჭებათ უფლება მექანიკურად მოახდინონ შემოკლება ცენტრალურ კომისიის დადგენილებებად და გუბალმკომების დასტურით, 2) ცვლილებები, რომელნიც მოითხოვენ დაწესებულებათა გაუქმებას ან მ სი სტრუქტურის არსებითად გარდაქმნას, ტარდება ცხოვრებაში ცენტრალურ კომისიის მიერ დამტკიცების შემდეგ. 3) როგორც საერთო წესიდან გამონაკლისი, მიენიჭოს უფლება მოსკოვის და პეტროგრადის საბჭოების პრეზიდიუმებს, დაამტკიცონ საგუბერნიო კომისიების დადგენილებანი მოსკოვის და პეტროგრადის გუბალმკომებისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა შემოკლების შესახებ მხოლოდ თუ რომელიმე სახალხო კომისარიატი არ დაეთანხმა დადგენილებას, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მოსკოვის ან პეტროგრადის საბჭოების პრეზიდიუმთან, სადაც საკითხი შეაქვთ ც. ა. კ. ცენტრალურ კომისიაში, 4) მიენდოს საგუბერნიო კომისიებს გადასინჯვა აგრეთვე იმ დაწესებულებისა, რომელნიც არ ექვემდებარებიან გუბალმკომიტეტებს, მაგრამ იმყოფებიან გუბერნიის ფარგლებში, მხოლოდ სათანადო დადგენილებების ცხოვრებაში გატარება ხდება მათი განხილვის შემდეგ ცენტრალურ კომისიაში, 5 საგუბერნიო კომისიები ვალდებულნი არიან თვეში ორჯერ გამოგზავნონ ც. ა. კ—ის ორგანოფილებაში ანგარიში შეშაობის მსვლელობის შესახებ.

რ. ც. კ. კ. თავმჯდომარე კ. ადალიანი.
მდივანი ენუქიძე.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲐ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 19 დეკ. ამბ. კოლონტაი „ეწყებებში“ ფრიად დროულად აყენებს ქალთა შრომის მდგომარეობის საკითხს. იგი სწერს: „ბატატების შეწყვეტისა და საბჭოთა რუსეთის საშეურნეო ცხოვრების ახალ ნაგებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასვლასთან დაკავშირებით, შეწყვეტილია სრულიად დაუშვებელი მოვლენა —ქალთა შრომის განდევნა, მისი შეცვლა მამა-კაცის შრომით იმაც კი, სადაც ამას სრულებით არ მოითხოვენ შრომის ინტერესები. ეს არაა მე თუ ამრავლებს იმ პირთა რიცხვს, რომელნიც იძულებულნი არიან იცხოვრონ სხვისი შრომის ხარჯზე, ქვრის ან პროსტიტუციის კლიენტებისა, არამედ ისევ ამაღლებს საბჭოთა სახელმწიფოში სრულიად დაუშვებელ განსხვავებას სქესთა შორის, რომელსაც ბოლო ელემოდა რევოლიუციის წლებში. იქ, სადაც მუშა ქალს არ ითხოვენ, მას აყენებენ უფრო ძარა ხელსაყრელ პირობებში, ვიდრე მამაკაც—მუშაკებს. მთელ რიგ უწყებებში, განსაკუთრებით სამხედროში, შტატის მოსაფსახურე მამა - კაცები იღებენ, მაგალითად, ჩასაცმელს, ბოლო ასეთივე მოსაფსახურე ქალებს ყურადღებას არ აქცევენ. ეს უთანასწორობა და აქედან გამომდინარე უყურადღებო დამოკიდებულება ქალთა შრომისადმი, თვით პარტიულ რიგებშიც იკაფავს გზას: ქალებს ალარ ირჩევენ საპასუხისმგებლო სამუშაოზე, მკურდება საკანონმდებლო ორგანოებში მონაწილეთა რიცხვი. ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია. შრომის სახელმწიფო, წინააღმდეგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებისა, დაინტერესებულია იმაში, რათა გამოიყენოს ყველა მშრომელი მოკალაქეთა ძალები საწარმოო შრომისათვის —ქალების დაბრუნება „მარჩენალთა" ხარჯზე არსებობისაკენ გამოიწვევს საწარმოო ძალების არა ზრდას, არამედ დაქვეითებას. აშხ. კალინინი ამტკიცებს აუცილებლობას, სასწრაფო წესით მიდებულ იქნას ზომები ქალთა შრომის და უუფლებოობის საკითხების მოსაწესრიგებლად. ეს საკითხები უნდა გახდნენ მსჯელობის საგნად საბჭოების მე-9 კრებაზე.

უცხოეთი

ფინეთი. „დელი ქრონიკლი" იუწყება, რომ უმუშევრობის შესახებ შეტანილი ბილი იწვევს მწვავე კრიტიკას ყოველი მხრიდან. გაზეთი აღნიშნავს, რომ თემთა პალატის წევრს, რომელმაც ეს ბილი შეიტანა მისი კითხვის დროს, შეურაცყოფა მიაყენესო, თანახმათ ამ ბილისა „უუშებმა „რომელნიც აგრე ბედნიერები არიან", რომ მუშაობენ „უნდა შეიტანონ უმუშევართა სასარგებლოთ 6 თვის განმავლობაში 5 ხარ, მილიონი დოლარი. სასტიკი კრიტიკით გამოვიდა ამ პროექტის წინააღმდეგ მშრომელთა წარმომადგენელი დეპუტატი კალინინი, რომელმაც განაცხადა, ასი ათასი კაცი შიმშილობს ინგლისში, ინგლისის მთავრობის მუშათა პოლიტიკის წყალობით. ებლა მათ კიდევ უფრო უნდა ისიმშილონ. 9 სხვადასხვა ტრედ-უნიონებმა თანახმათ წინადადება კანონმდებლობისა უნდა გადარიცხონ 4 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ნუ თუ მუშებს უფლება არა აქვს მოითხოვონ თავიანთვის უფრო მეტი ყურადღება? და მეტი ხელ გაშლილობა უმუშევართა დასახმარებლად. კალინინი აღნიშნავს, რომ ყველა დანარჩენი მცხოვრებნი, როგორც მაგალითად: ფერმერები, ვექილები, უმაღლესი რკინის გზის მოსამსახურენი, ქალაქისა და საზოგადო დაწესებულების მოსამსახურენი, ერთი სიტყვით ყველა ისინი, რომელნიც ყველა მეტს დებულობ. ნ ინდიან ნაკლებს მუშებთან შედარებით სახელმწიფოსა და უმუშევრებისათვის. კალინინის აზრით უმუშევართა დახმარების მილი, რომელსაც არ გაუთვალისწინებია ფარითი დახმარება თვით სახელმწიფოსა და რომელიც ტვირთად აწვება მშრომელ კლასს, რომელიც ეგრე არათანასწორად ანაწილებს დახმარებას განწირულია დასამარცხებლად და უნდა იქმნას უარყოფილი პალატისაგან.

მეორე დეპუტატი რობერტსის აზრით მუშებმა უნდა მიიღონ ეს ბილი, ვინაიდან მუშათა კლასი ამჯობინებს პირადათ იყოს მონაწილე ამბანაგების დახმარებაში, ვიდრე მიიღოს მთავრობის მოწყალება.

პარიზი 12 დეკ. „მატენი" იუწყება რომ ფასი კარაქზე და კვერცხზე პარიზში იწევს. საერთო პროდუქტების შემოტანამ იკლო. ერთი კილო კარაქი 15 ფრანკი ღირს, ათასი კვერცხი 795 ფრანკი. კარაქი ჩამოტანილი ჰოლანდიდან, დანიიდან და სხვა გაკილებით უფრო იაფია ვიდრე ფრანგული ნაწარმოები.

ვენა, 13 დეკ. შვეიცარიის პრესა ერთობ აღშფოთებულია ეკონომიური კრიზისის შოლოდინით, უკანასკნელ დროს ისე გახშირდა სიკოტრე, რომ მხოლოდ ფიქრობთ დაცემა თუ, რომ 1918 წ. აღწევდა 266 რიცხვს 1919 მან მიაღწია 343 და 1920 წ. 455. უკანასკნელ 10 თვის განმავლობაში კი 340.

კონსტანტინეპოლი. ეურნალი „დოლრიანი" სწერს, რომ საბერძნეთის პოლიციამ ბრუსაში აღმოაჩინა საიდუმლო ერთვნული ორგანიზაცია. შეიპყრეს 3 ქვემაღლისტი ოფიცერი.

კონსტანტინეპოლი. ეურნალი „დოლრიანი" გაზეთ „ნეოლეგეის"-იდან ამოღებულ ცნობებით სწერს: რომ პრინციპიალურად ბერძნები თანახმა არიან სმირნას ავტონომიაზე და მისი ოლქების თვით მართველობის ზღვარზე, მაგრამ საბერძნეთის გუბერნატორის ბერძენ გამგეობას ქვეშ. საერთოდ საბერძნეთის დოთმობა ასეთია: ევაკუაცია ანატოლიისა და დამყარება ავტონომიისა საბერძნეთის გუბერნატორის მეთაურობით, რომელიც იცხოვრებს სმირნაში. ფრაკიის საზღვრების გადასინჯვა და მათი გადმოტანა ინოს-მიდიას ხაზამდე. ეს არის მაქსიმალური დათმობა, რომელზედაც შეიძლება საბერძნეთის თანხმობის მიღება. ამბობს გაზეთი და ბოლოს ამბობს: ჩვენმა მთავრობამ ყოველგვარი საზეიმოდ იხმარა ომის შესაწყვეტლად. და თუ შედეგი ამ ცდისა უნაყოფო იქნა, დეე ყველამ იცოდეს, რომ ჩვენი არმია მზეშენივრად შეიარაღებულია და შესძლებს საკითხის მით უმეტეს გადაჭრას, რომ მთელი ელინთა ერი მასთან ერთად იქნება.

— ვაშინგტონის ცნობებით საფრანგეთის დელეგაციას აზრად აქვს მოითხოვოს საფრანგეთისათვის 360,000 ტონი მსხვილი სამხედრო ერთეული, რაც რომდენიმეთ აღემატება პირველად მოწოდებულ ნორმას.

ბერლინი. 15 დეკ. დრეზდენის პრესა სწერს: რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა ყოველ შესაძლებლობას სპობს ახლო წლებში ვალების გადახდაზე. რუსეთს ეპირვება მეფურნეობის აღდგენა. რომლისათვის საჭიროა კაპიტალისტური დასავლეთის დახმარება. გაზეთებს მოუყვანთ ამონაწერი პარიზელ გაზეთებიდან შესახებ იმისა, რომ საფრანგეთმა მიიღო გამოსაყენები კონცესია და მას შეეძლო მონაწილეობა მიეღო დანგრეულ მეფურნეობის აღდგენაში.

ნიუიორკი. 15 დეკ. ლოიდ-ჯორჯმა მუშათა ჯგუფის ლიდერის კლიანსის ოფიციალურ მიღების დროს თემთა პალატაში განაცხადა: რომ მას ყველა პოლიტიკა-ეკონომიურ საკითხზე აინტერესებს საკითხი უმუშევრებისა. ეს საკითხი დაყენებულ იქნება მოსაყენებელ ლოიდ-ჯორჯისა და ბრიანის თათბირზე. გადაწყვეტილია ამ საკითხის განხილვის დროს მოწვეული იქმნან მუშათა ჯგუფის წარმომადგენელნიც.

რომი. 17 დეკ. სოციალისტურმა ჯგუფმა გადასწყვიტა იტალიის პარლამენტში გამოვიდეს მთავრობის მიმართ სასტიკი კრიტიკით და მიიღო მისი პოლიტიკის მიმართ შეურიგებელი პოზიცია. დემოკრატიულმა ჯგუფმა წინააღმდეგ გადასწყვიტა მხარი დაუჭირის მთავრობის.

რომი 16 დეკ. პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ ინგლისის დელეგატებმა ვაშინგტონის კონფერენციაზე გადასწყვიტეს წამოაყენონ საკითხი სამხედრო ნადმოსან ნავების მოსპობაზე.

რომი 16 დეკ. თემთა პალატაში ზეიმით გახსნეს საგანგებო სხდომა, სპეციალურად მოწვეული ინგლის-ირლანდიის ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის. ამავე დროს დუბლინში მოწვეულია ირლანდიის პარლამენტის სხდომა.

ლონდონი, 16 დეკ. ინდოეთის მეამბოხენი თავს დაესხა ინგლისის ცხენოსან რაზმს. მოკლულია 3 ოფიცერი და 70 ჯარის კაცი.

ბერლინი, 15 დეკ ჰუნგრეთის ეროვნულმა კრებამ მოიწონა პროექტი არმიის შემადგენლობის რიცხვის შემცირებაზე.

მოსკოვი, 17 დეკემ. 13 დეკემბერს პარლამენტში კრებამ განაცხადა, რომ მდგომარეობა ერთობ სერიოზულია, ვინაიდან ფასტერმა გადასწყვიტა არ გადაუხვიოს აღნიშნულ გზას ერთი ნაბიჯითაც. კრება ამტკიცებს ლოიდ ჯორჯს დაპირების აუსრულებლობაში.

* * *

ობიოლს ნაღველი მესტუმრება მფრინავი მარდათ,
როგორც ავდარი მარტოდ მავალს შორეულ გზაში.
მოდის სნეული ამოოხვრა და ვამბობ მაშინ:
—„როგორ იქცევა ზაფხულის დღე ცვალებად მარტად"?!..
ხანდისხან მესმის სიცილის ხმა ამაყ ნავარდათ,
მაგრამ ხშირად, რომ მას მოყვება წყენა ტირილი,
მაშინ დუდუნებს გაკვირვება ხმა დაფერილი
—„როგორ იქცევა ზაფხულის დღე ცვალებად მარტად"?!..
ერთხელ მეგობარს სიხარულის ზღვა დავმართა;
მისი სიმღერა გაისმოდა კიდით კიდემდე,
მაშინ ავ ცრემლებს მწუხარებით ვინ დაიდენდა,
ვინ იფიქრებდა გადაქცევას ზაფხულის მარტად?
მდიდარი იყო, მაგრამ მისი არვის ემართა
და როცა ერთხელ დილა შავად მას გაუთენდა,
ასე ამბობდა ნაღვლიანი საბრალო დენდი:
„როგორ იქცევა ზაფხულის დღე ცვალებად მარტად?"!..
და ხშირად მიკვირს ეს მარტობა, როცა ვარ მარტო,
რომ არ გრძელდება სასურველი ეამი კეთილის!
და ვერ გავიცან საიდუმლო კარ ჩაკეტილი:
—„როგორ იქცევა ზაფხულის დღე ცვალებად მარტად"!...

ალექსანდრე მაღუდარია.

მოსკოვი, 17 დეკ. ჰელსინგფორსიდან იუწყებიან: ყოველ მხრიდან ცნობები მოდის შესახებ შეკრებისა და მოხალისეთა მიღებისა. ყოველ დღე საფოსტო მატარებლით ჯგუფ-ჯგუფად ჩამოდის 30—40 კაცი. მოხალისეები სარგებლობენ უფასო მიმოსვლით. საზღვრამდე მათ აცილებს მაძებარი პოლიციის აგენტები. მოხალისეები ტიპიური ბულიგენებია, „რომელნიც ავაზარსა სცემენ ადგილობრივ მცხოვრებლებს. რაზმს მეთაურობს ოფიცერი. მოხალისეები უცხადებენ მცხოვრებლებს, რომ ისინი მიდიან საომრად კორელიიდან მოსკოვში.

მოსკოვი. 17 დეკ. პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა სეიმში გაანაცხადა, რომ მთავრობა ხელს უშლის ყოველგვარ შეკრებას ხალხისას და იარაღის გაგზავნას აღმოსავლეთ კორელიაში. მთავრობამ მისცა სათანადო ინსტრუქცია გუბერნატორებს და მოსაზღვრე დარაჯებს.

მოსკოვი. 17 დეკ. ესტონიის, ლატვიის, პოლონეთის და რუმინიის მთავრობებმა აუწყეს ერთა ლიგას, რომ კორელიის საკითხი ახლო მომავალში წამოყენებული იქნება ერთა ლიგის კრებაზე, დაახლოვებით 10 იანვარს.

ჩიკაგო. 10 დეკ. სახალხო კრებამ შ. ამ. რ. მიიღო წინადადება გადეხთა ფინანსიისა შ. ამ. რ. ყველა მშრომელთაგან მოწოდებისა, რათა გამოვიდნენ პროტესტით წინააღმდეგ იაპონიის და მერეულოვეცების თავდასხმისა და ამასთანავე მტერზე ახალი გაბარჯვების უბრუნველსაყოფად.

ევროპიდან

რიგიან ფაბრუნგვა რუსეთი კაპიტალიზმს.

განცხადება ფრიტიოფ ნანსენისა. მე ბოლშევიკი არა ვარ და არც შეგობარი ვარ ბოლშევიკების, ლაპარაკობს ნანსენი. მე ვარ მკვლევარი და საგანთან მიგდიგარ ობიექტიური თვალსაზრისით, სრულიად თავისუფალი ვარ აკვიატებული აზრით და პარტიული ჭორებისაგან. რუსეთის მდგომარეობა თავზარდამცემია, განსაკუთრებით დაზარალებულს ადმოსავლეთს ოლქებში. ამისდა მიუხედავად, შეცდომა იქნებოდა, თუ კი შიმშილს ბოლშევიკებისაგან დამყარებულს წყობილებას მივაწერდით. საბჭოთა ძალა-უფლება ცდილობს ყოველივე დონით, და მე არ მაქვს საბუთი ექვი შევიტანო მათ კეთილგანზრახვაში, დაეხმარის დამშეულ მცხოვრებლებს უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული რუსეთის ისტორიის ტრაგედია, მთელი რიგი ფაქტორებისა, რომელთა შორის გვალვას, შეადგენს 5 წლის ომისა და სამი წლის შიმშილს უკავიათ პირველი ადგილი. რეჟიმი ქონების გასაზოგადოებისა ამ ყამად უარყოფილია მათგან, პირველად ბოლშევიკები იმედოვნებდნენ ცხოვრებაში საფსებით კოშუნიზმის პრინციპების განხორციელებით: გადაცემა სახელმწიფოს ხელში სამრეწველო წარმოებებისა, ბანკებისა და მიწებისა; უარყოფა თავისუფალი ვაჭრობისა და თითქმის ფულის ღირებულებისა,—უარყოფილია იმითგან კოლექტიური მფლობელობის დაწესებით. „6 ნოემბერს—სწერდა ამას წინად ერთი მთავარი ლიდერი კომუნიზმისა—ტროცკი, ნიშნავს დღეს კერძო საკუთრების ჩამორთმევასა და განმტკიცებას კოლექტიურ მფლობელობისას".

ამის და მიუხედავად, სისტემა ვერ განხორციელდა, რადგან მას წინ აღუდგა ადგილობრივი მცხოვრებლები. კერძოთ გლეხებმა, რომელთაც დაიკავეს რევოლიუციის დროს მიწა, წინააღუდგენ „მისი" მიწის კონფისკაციას. ამ რიგად მთავრობა იძულებული იყო გამოეცვალა მეთოდები და ეცნო გლეხებზე საკუთრება, დაადგა რა მათ მეგზარა ევროპიულ მიწის გადასახადის მიხედვით.

მთავრობამ ნება დართო რა, თვალები დახუჭა ფვრილს ვაჭრობაზე, ეხლა კი სრულიად აუშვა. ფულის სისტემა კვლავ დაწესდა, დიდი კონცესიები მიეცა კაპიტალისტებს. მოკლეთ, რუსეთში ხდება ახალი დროისაკენ დაბრუნება.

საჭიროა, რომ მთელი კაცობრიობა და კერძოთ ყველა მთავრობები მოეხმარონ რუსეთს, რათა მან დაამარცხოს საშინელი კრიზისი, რომელიც ეწვია მას და არამც თუ ფილანტროპიული მოსაზრებებით, არამედ ეკონომირი მოსაზრებებითაც არის ეს საჭირო. წარმოიდგინეთ 20 მილიონი კაცი, რომელსაც ემუქრება სიმშილით სიკვდილი, მაგი დალუპვა მოსპობს, სამიწათმოქმედო წარმოებას საბუდაბოთ, განსაკუთრებით მოსავლიან ოლქებში, რომლებიც ითვლება ნორვეგიის, იტალიის და სხ. მსაზრდოებლად. თესლი და თესლი,—ეი რა არის აუცილებლად საჭირო, რომლის შეტანა რუსეთში გადასწყვეტას რუსეთის საბჭოთა-სასიცოცხლო კითხვას. ჩვენ უნდა უზრუნველყოთ რუსეთის მოსავალი.

სამმა უმთავრეს მოსავალმა მისცა საშუალება ყოფილ რუსეთის იმპერიას. 1904—1905 წ. წ. ხარჯების დაფარვა, იაპონიასთან ომის დროს, კარგ მოსავლების წყალობით რუსეთი შესძლებს, ძალიან მცირე ხნის განმავლობაში, აღადგინოს კრედიტი, რომელსაც გაუხსნიან მას დამშეულთა დასახმარებლად. საჭიროა დაჩქარებით შევუდგეთ მუშაობას, ვინაიდან თუ სიმშილი გაგრძელდა, მომავალ წლის მოსავალი წახდება. („ფურნალ დ'ორიან").

განათლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირის ვაერთიანებული პლენუმისათვის

მომავალი 1922 წლის იანვრის 15-ისათვის მოწვეულია განათლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირის შეერთებული პლენუმი. ეს კავშირები დღეს ცალ-ცალკე დამოუკიდებლად არსებობენ, თუმცა სერიოზულ საკითხებზე ერთ-ერთ ბევრი აქვთ, რისთვისაც გადაწყვეტილია მათი გაერთიანება. [illegible] ზედ. ადასანიშნავია, რომ ორივე კავშირი ერთობ სუსტია და ვერ იჩენს მომენტის შესაფერ მუშაობის უნარს. მეტია იმაზედ ლაპარაკი, რომ ამ რთულ გარდამავალ ხანაში ძალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი. როგორც განათლების, ისე ხელოვნების დარგში. ძველი და ახალი ურთიერთობის საზღვარზედ მდგარი საბჭოთა პოლიტიკურ ხელმძღვანელობის გარდა საჭიროებს მეტ სულიერ საზრდოს, ვიდრე ჩვეულებრივ დროს. მას სტანჯავს მრავალი წყეული კითხვები, რომელის გადაჭრა არ შეიძლება მექანიკურად, კულტურის გარეშე. და ამ კითხვების დამუშავებას, მათ გაშუქებას მოითხოვს მომენტი. ესაა პირდაპირი მოვალეობა განათლების და ხელოვნების მუშაკებისა და სწორედ ამ მხრით თითქმის არაფერი გაკეთებულა. მდგომარეობას დროა ბოლო მოეღოს.

ამ თვის დამლევს ტფილისში გაიმართება განათლების მუშაკთა საერთო კრებები, ხსენებულ ყრილობაზედ დელეგატების ასარჩევად. იმედია ამხანაგები ფხიზლად და შეგნებულად მოეპყრობიან კავშირის საქმეს.

ბახწაგალებელი.

ტრამვაის ბილეთები

მუშა-მოსამსახურეებს ტრამვაის ბილეთები უფასოდ ეჩიგდება. თქმა არ უნდა ეს ერთად ერთი საშუალებაა, რომ მუშებმა ტრამვაით ისარგებლონ.

ქონებრივად მუშებზე უფრო ცუდ მდგომარეობაშია სტუდენტობა. ამავე დროს მას მუშებზე მეტი სიარული უდგება. სტუდენტი მარტო უნივერსიტეტში კი არ უნდა მივიდეს, არამედ იგი სპეციალი ლექციებისათვის უნდა წავიდეს მიხეილისა და ალექსანდრეს სახელობის სავაჭროსოფლოებში, სერგის ქუჩაზე, ანასტასიის ქუჩაზე და სხვაგანაც. ერთი სიტყვით, ყოველ დღიურად სტუდენტმა, რომ ლექციები მოისმინოს, იგი უნდა მივიდეს 2—3 სხვა და სხვა ადგილს, რომელნიც ერთი მეორისაგან საკმაოდ შორს მდებარეობს.

ამიტომ სტუდენტობას აუცილებლად უნდა მიეცეს ტრამვაის ბილეთები. როგორც ვიცი. რეგკომის კომუნალურმა განყოფილებამ სტუდენტთა კავშირს უარი განუცხადა ტრამვაის ბილეთებზე.

ასეთი მდგომარეობა სანახევროთ მაცდინობის შეწყვეტას ფლრის.

ამიტომ საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და იგი სათანადოთ გადაიწყვიტოს გისგანაც ჯერ არის.

ბ.

ფეცდოვის ბასკოლრეპა.

გუშინდელ ნომერში, ამბ. სერ. ამაგდობელის წერილში არის შემდეგი კორექტურული შეცდომა „სამეულის (არ. ჯორჯაძის) მოხსენებაში ვკითხულობთ". უნდა იყოს „ხახუდიან (არ. ჯორჯაძის) მოხსენებაში ვკითხულობთ".

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
ხელმძღვანელი— მთავარი კომიტეტი.

დაკარგე პირადობის მოწმობა (პასპორტი. სარეგისტრაციო ბარათი და გადასახადის კვიტანცია. აღნიშნულ სამუთრეს ვეცხადებ გაუქმებულად.

ანტონ ისაკის ძე მერაბოვი.
155

ეძიებ
ნ. ა. არუთინოვმა
განაცხადა მიღება
სპეციალურად სიფილისი, სუსუნატი და მისი შედეგები; სქესობრივი დაუძლურება. მიღება სადამოს 4—7 სათ.
სოლოლაკი. ცეცხლმეკრობელ რაზმის უკან. ბაბალიშვილის ქ. № 5.
(Новобебутовская). 152.

ექიმი
ი. ბ. ხარეგამა ბაკრაძე
იღებს ავადმყოფებს, ყოველ დღე ღილის 9—2 და სად. 4—6-დე ექიმობა, ქალებისა ხელოვნური აბორტი. მუშტაიდის შეს. № 4.
109